პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 13 აგვისტო 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

181 (879) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## წითელი მეთაური და ძველი წითელ არმიელი.

ჩვენი წითელი ჯარის რიგებს შეემატა ახალი ძალა სამხედრო სკოლის მიერ გამოშვებულ 124 წითელი მეთაურის სახით. მოკლევადიან შვებულების შემდეგ ახალგაზრდა მეთაურები ჩადგებიან წითელი ჯარის რიგებში და შეუდგებიან მუშაობას. მათ წინაშე კი მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზული ამოცანა ძევს.

მათ უნდა აღზარდონ წითელი არმიის ახალი შევსება, 1903 წელში დაბადებული ახალგაზრდობა, რომელიც შემოდგომაზე მოვა წითელ ყაზარმაში.

ახალმა წითელ მეთაურებმა მთელი თავისი ენერგია და ცოდნა უნდა მოახმარონ ახალწვეულთა სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას.

ახალწვეულისაგან მათ უნდა შესძლონ საბჭოთა კავშირის ღირსეული დამცველისა და რევოლიუციონური მეომრის აღზრდა.

ეს მეტის მეტად რთული და დიდი ამოცანაა. და ამ საქმის შესრულებაში მათ უნდა დაეხმარონ წითელ ყაზარმაში დარჩენილ ძველმა წითელ არმიელებმა, რომლებმაც უკვე შეისისხლხორცეს წითელი მებრძოლის მაღალი მოვალეობანი და პირნათლად ასრულებენ ასეთებს.

მათ თავისი პირადი მაგალითით, თუ ახალ მოსულებისადმი რჩევა დარიგების მიცემის სახით, ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ მეთაურთა შემადგენლობას ახალწვეულების აღზრდის საქმეში.

როცა ახალგაზრდა მშრომელი მოდის წითელ ჯარის რიგებში ის პირველ ყოვლისა მაგალითს იღებს ძველ წითელ არმიელისაგან, რომელთანაც აგრეთვე ის ყველაზე უფრო არის დაახლოებული. ამიტომაც ძველ წითელ არმიელისაგან ბევრად დამოკიდებულია ახალწვეულის წარმატებით სამხედრო-პოლიტიკური აღზრდა.

ამიტომაც ძველი წითელი არმიელი მოვალეა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას იმ დიად მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია 1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მოსვლასთან.

ძველმა წითელ არმიელმა უნდა ეცადოს, რომ თავისი მაგალითით და დარიგებით განამტკიცოს რევოლიუციონური დისციპლინა ახალ მოსულებში, ასწიოს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ავტორიტეტი. მხოლოდ ასეთი მეგობრული მუშაობის პირობებში შესძლებენ წითელი მეთაურები თავის დიად ამოცანის შესრულებას და თავისი ახალგაზრდული ენერგიით, ფოლადისებური ნებისყოფით განამტკიცებენ წითელი არმიის რიგებს.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

### ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირი.

საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრებმა ბრიანმა და ჩემბერლენმა ინახულეს ერთმანეთი და ითათბირეს საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

ბრიანი და ჩემბერლენი შეთანხმდენ გერმანიის განცხადებაზე საფრანგეთის პასუხის საკითხში.

როგორც ჰავასის სააგენტო იტყობინება მოლაპარაკება წარმატებით მიდის.

### საფრანგეთის პრესა ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის შესახებ.

საფრანგეთის პრესა დიდ მნიშვნელობას მიაწერს ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირს, მაგრამ ამასთან აღნიშნავს, რომ უფრო ადვილია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების დასახვა, ვინემ მისი განხორციელება.

ინგლისისა და საფრანგეთის მიზნები საგარანტიო საკითხში სხვა და სხვაა. საფრანგეთს განზრახული აქვს დაიცვს პოლონეთი მოსალოდნელ თავდასხმისაგან, ინგლისი კი ამით არაა დაინტერესებული და სცდილობს საფრანგეთის ჩარევა პოლონეთის სასარგებლოდ დაუკავშიროს ერთა ლიგის თანხმობას.

# ახალი რადიო-ამბები

## პურის გაზიდვის კამპანია.

### ბანკეტი პარიზში.

პურის საექსპორტო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით, პარიზში, კრასინის თავმჯდომარეობით საგარეო ვაჭრობის განყოფილებამ გამართა ბანკეტი.

ბანკეტზე მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის სავაჭრო წრეების აუარებელ წარმომადგენლებმა.

კრასინმა თავის სიტყვაში აღნიშნა საფრანგეთ-საბჭოთა ვაჭრობის გაძლიერება.

ბანკეტის მონაწილეებმა გაუგზავნეს სახალხო კომისართა საბჭოს, ვნეშტორგს და პურის ექსპორტის მმართველობას შემდეგი დეპეშა: „საფრანგეთის სხვა და სხვა სავაჭრო-სამრეწველოების წარმომადგენლები მეგობრულად გესალმებათ 1925 წლის მოსავლის კამპანიის დაწყების გამო და გამოსთქვამენ იმედს, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხი გაერთიანდებიან და ხელს შეუწყობენ ამ ორი დიდი ხალხის ეკონომიურ გაძლიერებას."

## უმუშევრობის ზრდა ინგლისში.

ინგლისის უმუშევართა რიცხვი უკანასკნელი კვირის ბოლოს უდრიდა 1.260.400 კაცს. ესე იგი ერთი კვირის განმავლობაში მოემატა 62.000 უმუშევარი.

## ანტისემიტური გამოსვლები რუმინეთში.

### ბარბაროსი ფაშისტები არბევენ ებრაელთა მოსახლეობას.

მთელ რუმინეთში გრძელდება ფაშისტების ანტისემიტური (ებრაელთა წინააღმდეგ) გამოსვლა. პოლეშტში და ფაიშკანაში დაარბიეს მრავალი ებრაელი და სცემეს მგზავრებს. სოფლებში ვრცელდება ფაშისტების ფურცლები, რომლებითაც ისინი მოუწოდებენ დარბევისაკენ.

## ბესარაბიაში შიმშილობა ძლიერდება.

### რუმინეთის მთავრობამ აჯანყების შიშით გადასდო გადასახადების აკრება.

შიმშილობამ ბესარაბიაში საშიშარი ხასიათი მიიღო. რუმინეთის მთავრობა იძულებულია გადასდოს გადასახადების აკრება იმ ოლქებში, რომლებიც დაზიანებული არიან დნესტრის წყალდიდობისაგან.

დამშეულ ოლქებში სასწრაფოდ სწარმოებს ხორბლეულის გადაგზავნა.

## სამხრეთ სლავია იარაღდება.

სამხრეთ-სლავიამ დაუკვეთა საფრანგეთს 100 საჰაერო გემი. ამრიგად მას ყველაზე მეტი საჰაერო ძალა ეყოლება ბალკანეთში.

ამის შესახებ იტალიის გაზეთი „ეპოკა" სწერს: „სამხრეთ-სლავია ხდება ძლიერი სახელმწიფო. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ძალები, რათა შევინარჩუნოთ უპირატესი მდგომარეობა ადრიატიკის ზღვაზე და დავიცვათ ხმელთაშუა ზღვა."

## ციხიდან გაქცევა.

სამხრეთ-სლავიის გამოჩენილი კომუნისტი ჩაპიჩი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 3 ნახევარი წლის კატორღა, გაიქცა ზაგრების ციხიდან.

## 1840 მსხვერპლი.

ბულგარეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობების მიხედვით, თეთრი ტერორის მსხვერპლთა რიცხვი ბულგარეთში 1924 წლის განმავლობაში ადის 1840 კაცამდე.

## ესტონეთის მთავრობა უარყოფს ცნობებს კუნძულების იჯარით გაცემის შესახებ.

ესტონეთის საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ეგიმ გაუგზავნა საგარეო საქმეთა კომისარიატის კოლეგიის წევრს არალოვს ნოტა, რომელშიაც ის ესტონეთის მთავრობის სახელით კატეგორიულად უარჰყოფს როსტაში და ტასსის პრესაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ესტონეთს იჯარით მიეცეს ინგლისისთვის კუნძული ეზელი და დაგო.

ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში ასეთი ხმების გავრცელებას ადგილი არ ექნება საბჭოთა კავშირის პრესაში.

## დამნაშავეა რეფორმისტები.

გაზეთი „როტე ფანე" აცხადებს, რომ რეიხსტაგის საგადასახადო პოლიტიკაში დამნაშავეა უმთავრესად გერმანიის პროფკავშირთა ბელადები, რომლებმაც არავითარი ზომა არ მიიღეს, რათა ხელი შეეშალათ გერმანიის მუშათა კლასის შევიწროვებისთვისო. „ფორვერტსი" აცხადებს, რომ ის გააგრძელებს ბრძოლას მთავრობასთან ასეთი გადასახადების წინააღმდეგ.

## ჩინეთის ამბები.

### ჩინეთში ფართოვდება უცხოეთის საელჩოსა და ფირმების მოსამსახურეთა გაფიცვები.

### „ჩინელ მოსამსახურეებს უცხოელთა მისია „ქუჩის ძაღლებსავით" ექცეოდა".

### გაფიცულები მოითხოვენ უცხოეთის კონსულებისა და სამხედრო გემების გაყვანას ჩინეთიდან.

### გონკონგში მივიდა ინგლისის გემი—40 ჰაეროპლანის ბაზა.

მისიის მოსამსახურეთა გაფიცულებს შეუერთდენ ელექტრო—სადგურის მუშები; ჩინეთის მუშებმა გააფუჭეს არტეზიანის ჰების საქაჩავები.

მისიის ჩინელ მოსამსახურეებმა აცნობეს ჟურნალისტებს, რომ მისია მათ „როგორც ქუჩის ძაღლებს" ისე ექცეოდა.

უცხოეთის ფირმების ჩინელი მოსამსახურეები მოითხოვენ კონსულებისა და ინგლისის სამხედრო გემების გაყვანას ჩინეთიდან, ინგლისის მიერ ბოდიშის მოხდას, მკვლელობათა დამნაშავეების დასჯას და არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმებას.

ფართოვდება აგრეთვე გაფიცვები ტიან-ცზინში.

გონკონგში მივიდა ინგლისის სამხედრო გემი „ჰერგესი", რომელიც წარმოადგენს 40 ჰაეროპლანის ბაზას.

# გერმანიის მუშათა დელეგაციის მიწვევა ბანაკში.

1-ლ ქ. მ.რ. დივ. დროებითი უფროსმა და სამხედრო კომისარმა ამხ. ა. კვირიკაძემ გაუგზავნა დეპეშა ბორჯომში ჩასულ მუშათა დელეგაციას, რათა უკანასკნელი სწვევოდა ბანაკში მყოფ ქართულ დივიზიის ნაწილებს.

დელეგაციამ დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხა ეს და საპასუხო დეპეშა გაუგზავნა ამხ. კვირიკაძეს.

აქვე მოგვყავს ორივე დეპეშა:

## ბორჯომ-პარკი

გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს.

წითელ არმიელები, მეთაურები და პოლიტ-მომუშავეები გთხოვენ თქვენ ინახულოთ ქართული წითელი არმიის ნაწილები ბანაკში.

1-ლ დივიზიის დროებით უფროსი და დივიზიის სამხედრო კომისარი **კვირიკაძე.**

## ქართული დივიზია კვირიკაძეს.

სამწუხაროდ, დროს უქონლობის გამო არაგვაქვს საშუალება ვესტუმროდ ქართულ დივიზიის ბანაკს. გადაეცით ქართულ დივიზიის ნაწილების წითელ არმიელებსა და მეთაურებს გერმანიის დელეგაციისაგან მხურვალე სალამი.

დელეგაციის თავმჯდომარე **ჰანს ბექი.**

სრულიად საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოს წარმომადგენელი **პ. ს. სენიუშკინი.**

# ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ფრანგებმა-გასწმინდეს ზიტუნის გზები, გააბეს კავშირი ესპანეთის რაზმებთან და აიძულეს აჯანყებულები უკან დაეხიათ.

# ეგოროვის განცხადება.

უკრაინის ჯარების სარდალმა ეგოროვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კოტოვსკის მკვლელობის შესახებ განაცხადა, რომ მკვლელი გამიოროვი მოქმედებდა საბჭოთა მტრების ხელმძღვანელობით, ნსაკუთრებით რუმინეთის სიგურანცების, რომლებისთვის კოტოვსკის სახელი, როგორც რევოლიუციონერის, მიმზიდველ მიზანს წარმოადგენდა.

# ტოკიო მოსკოვის ექსპედიცია.

ავიოქიმმა მიიღო ცნობები, რომ 11 აგვისტოს დილის 9 საათზე კრასნოიარსკიდან ნოვო-ნიკოლაევსკში გაფრინდა იაპონიის ორთვით მფრინავები. თვითმფრინავებს მოელიან მოსკოვში ამ დღეებში.

# სამეცნიერო აკადემიის იუბილესთვის.

რაბინდრანატ ტაგორის ჩამოსვლა.

მოსკოვის სამეცნიერო აკადემიამ მიიღო ცნობა, რომ ლენინგრადში ჩამოვიდა საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად ინდოეთის ცნობილი პოეტი რაბინდრანატ ტაგორი.

# საფრანგეთის მფრინავები მოსკოვში.

11 აგვისტოს მოსკოვში ჩამოფრინდა საფრანგეთის მფრინავები. ჰაეროდრომზე გაიმართა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები.

მფრინავ არაშარმა საპასუხო სიტყვაში მიიწვია საბჭოთა მფრინავები საფრანგეთში და აღუთქვა მათ ასეთივე მეგობრული შეხვედრა.

მფრინავებიდღეს 3 საათზე გაფრინდებიან საფრან-გეთში.

# კოტოვსკის მკვლელობის გარშემო.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სამმიმარი.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ ხარკოვში უკრაინის სამხედრო ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს, ამხ. კოტოვსკის მოკვლის გამო შემდეგი სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა:

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის წითელ-არმიელები, მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა ღრმად დამწუხრებული არიან წითელი ცხენოსანი არმიის დაუვიწყარი გმირის, ყველასათვის საყვარელი კორპუსის უფროსის ამხ. კოტოვსკის სიკვდილის გამო. მისი უანგარო თავდადებული სამსახურს რევოლიუციის საქმისადმი, მის გმირობას ბრძოლაში არასოდეს არ დაივიწყებს მუშურ-გლეხური ქვეყანა და ის იქნება საუკეთესო მაგალითი წითელ-არმიის მომავალი მუშაობაში.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წევრნი:—**კორკი, ელიავა, ლუკაშინი, რატნეკი.**

# საბჭოთა კავშირში

**კომისიის გამგზავრება კოტოვსკის მკვლელობის ადგილზე.**

რევსამხსაბჭოს კომისია და უკრაინის მთავრობის დელეგაცია ბუდიონის, ბუცენკოსა და ეგოროვის მეთაურობით გაემართა ჩებანკის სამეურნეო საბჭოში, სადაც მოხდა მკვლელობა.

**დელეგაცია კოტოვსკის დასაფლავებაზე.**

ადესაში მივიდა ამხ. კოტოვსკის დასაფლავებაზე რევსამხსაბჭოს დელეგაცია.

მოსკოვიდან ჩავიდა აგრეთვე ბესარაბიელთა საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს დელეგაცია დროშებითა და გვირგვინებით.

# გერმანიის მუშათა დელეგაცია სოხუმში.

,,თქვენი აღფრთოვანება და რევოლიუციონური სული დაგვეხმარება ჩვენ ჩვენს ბრძოლაში.

დროა გერმანიის მუშათა კლასი წავიდეს საბჭოთა კავშირის გზით.

11 აგვისტოს სოხუმში ჩავიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. შეხვედრისას მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

საპასუხო სიტყვაში დელეგატ ნელლემ განაცხადა: „თქვენი აღფრთოვანება და რევოლიუციონური სული დაგვეხმარება ჩვენ ჩვენს ბრძოლაში. ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას ვიხმართ ერთიანი ფრონტის განსამტკიცებლად და იმ პელადებს, ვინც კი ამაში ხელს შეგვიშლის, ჩვენ ვეტყვით,— შორს ჩვენი რიგებიდან. დროა გერმანიის მუშათა კლასი წავიდეს საბჭოთა კავშირის გზით. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით მიგვეპატიჟებია რუსეთის მუშათა დელეგაცია საბჭოთა გერმანიაში“.

დელეგაციას განზრახული ჰქონდა ტფილისში დაბრუნება 12 აგვისტოს.

მოსკოვში დელეგაცია დაბრუნდება 16 აგვისტოსთვის. ამ დღისთვის მოსკოვში თავს მოიყრიან დელეგაციის ყველა ჯგუფები.

# სამხედრო საქმე

## სოფლის დაზვერვა.

პირველ წერილში ჩვენ გავარკვიეთ, თუ როგორ სწარმოებს მზვერავების მოძრაობა საერთოდ; ეხლა შევეხოდ იმას, თუ როგორ ტარდება ზოგიერთ ადგილობრივ საგნების ზვერვა. უნდა აღვნიშნოდ, რომ ყოველ ადგილობრივ საგანს აქვს ცალკე თავისებურობა, რომელსაც ასე თუ ისე შეუძლია გავლენა იქონიოს ჯარების მოქმედებაზე.

ამიტომ ჩვენ პირველ ყოვლისა გავარკვიოთ, თუ რა მიზნით შეიძლება წარმოებულ იქნას ადგილობრივ საგნების დაზვერვა, ხოლო შემდეგ, თუ როგორ სწარმოებს ის ყოველ ცალკე შემთხვევაში.

თვითეული სოფელი ომის დროს ჩვენთვის საინტერესო იქნება შემდეგი თვალსაზრისით:

ა) დაკავებულია თუ არა მტრის მიერ. ბ) რა გავლენას მოახდენს სოფელი ჩვენი ჯარების მოქმედებაზე (მოგერიების, შეტევისა და უკან დახევის დროს), გ) როგორ შეიძლება ამ სოფელში ჩვენი ჯარების მოთავსება.

აი სამი ძირითადი ამოცანა, რომლების გადაჭრა მოუხდება მზვერავებს სოფლის დაზვერვის დროს.

სამივე შემთხვევაში მისვლა და დაზვერვა ერთნაირი იქნება იმდენად, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ფრონტზე.

სოფლიდან მოშორებით მზვერავები მოძრაობენ ისე, როგორც ნაჩვენებია წინა წერილში.

სოფლის განაპირად მისვლისას, ან და, თუ ადგილი ღიაა, უფრო ადრე; მოწინავე მზვერავი აცოცდება მაღალ საგანზე (ხეზე, წისქვილზე და სხვა) და დაუწყებს თვალიერებას სოფელს დურბინდით. მზვერავთა ბირთვი (დანარჩენი მზვერავები) ჩაესაფრება მის ახლოს და მზად არიან თავდასხმის შემთხვევისათვის. უმჯობესია განშორდე მტერს ისე, რომ არ გაამჟღავნო თავი.

თუ რომ ამ დროს მოდის სოფლიდან ან სოფელში ადგილობრივი მცხოვრები, აუცილებლად უნდა დააკავო ის და დაჰკითხო. ვსთქვათ მოთვალთვალემ ვერ აღმოაჩინა მტერი სოფელში.

ბირთვი რჩება ადგილზე, ხოლო მოწინავე მზვერავი მიდის სოფლის ცენტრალურ ქუჩით, ფრთებზე მყოფი მზვერავები—განაპირა ადგილებით, ბაღებით, ბოსტნებით ბუჩქნარებით ისე, რომ მოწინავე მზვერავი მიდის რამოდენიმედ უკან ფრთების მზვერავებზე.

ბირთვი თანდათანობით გადადის საფარიდან საფარზე.

როცა ფრთის მზვერავები გავლენ სოფლის მოპირდაპირე მხარეს, აძლევენ ნიშნებს, რომ ვერავის ვერ შეხვდენ, ან შეხვდენ და აღმოაჩინეს ესა და ეს.

ბირთვი ამ ნიშნის შემდეგ მხნედ შედის სოფლად, მიდის ქუჩით და არ უხვევს ეზოებს და სახლებში.

მოწინავე მზვერავები ბრუ[...] დებიან მოპირდაპირე მხრი[...] და დაახლოებით სოფლის შ[...] ადგილას შეხვდებიან ბირთ[...] და მოხსენებას უკეთებენ მზ[...] რავთა უფროსს წარმოებუ[...] ზვერვის შესახებ.

მხოლოდ ამის შემდეგ ი[...] ყება თვით სოფლის ზვერ[...] და ადგილობრივ მცხოვრებ[...] დაკითხვა.

მაგრამ სოფელში შესვლ[...] სას არ უნდა დაგვავიწყდეს შ[...] მდეგი სიფრთხილის ზომები.

საჭიროა აირმსპობის ჩამო[...] მა, თუ რომ ადგილობრივი მცხ[...] ვრებლები დაგიწყებენ რწმუნ[...] ბას რომ გაზები არაო, არ უ[...] და დაუჯერო, ვინაიდან არი[...] ისეთი გაზები, რომლებიც რ[...] მოდენიმე დღის შემდეგ იწ[...] ნენ მოქმედებას. კარგია მზ[...] რავს თუ ექნება თან ისეთ[...] ლითონის ფირფიტა, რომელი[...] ერთბაშად აღმოაჩენს გაზის ა[...] სებობას.

თუ რომ მზვერავებზე გად[...] იფრენს ჰაეროპლანი, მაშინ[...] უნდა გაწვენ მიწაზე, ან ჩრდ[...] ლში და არ გაინძრენ.

დაზვერვის, დათვალიერებ[...] სა და ადგილობრივ მცხოვრ[...] ბისა დაკითხვის შემდეგ, მზვ[...] რავთა უფროსი სწერს დასმ[...] ნას და აგზავნის კავშირის ხ[...] ლით მწყობრში, ხოლო თვ[...] თონ განაგრძობს გზას.

შემდეგ წერილში ჩვენ გვ[...] ქნება ლაპარაკი დასმენის შე[...] გენის შესახებ.

**შჩ—გი.**

# უცხოეთის არმიებში.

**აბდ-ელ-ქერიმის არმია.**

ტყვეებისა და ფრანგ მზვერავების ჩვენებით გამორკვეულია, რომ აბდ-ელ-ქერიმის არმია შესდგება სამ სხვა და სხვა გვარ ორგანიზაციიდან: რეგულიარული, დამხმარე და პარტიზანული ნაწილებიდან.

რეგულიარული ნაწილები შემდგარია სამხედრო საქმის მცოდნე რიფებიდან; შეიარაღებულ არიან მაუზერის სისტემის კარაბინებით, აცვიათ „ჯებალი“ ისპანურ-სავაზნე ქამრებით. ისინი წარმოადგენენ საუკეთესო ნაწილს აბდ-ელ-ქერიმის არმიისა და ამ ნაწილებიდან სარდლობა ღებულობს ძალებს დამხმარე ნაწილების მოსამზადებლად. რეგულიარული ნაწილები შესდგებიან უმთავრესად ქვეითა ნაწილებიდან, არტილერია ძალიან მცირეა ცხენოსანი ნაწილები კი სრულებით არაა.

ქვეითა ჯარის ორგანიზაცია ემსგავსება ევროპიულს: მაკდემი ხელმძღვანელობს 5, კაიდ ხამი—25 და კაიდ მია—100 ჯარის კაცს.

არტილერია ჩასახვის მომენტშია; მოქმედებს უშუალოდ ბატარეებით; მიზანში მოხვედრება მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს მისთვის. დამხმარე ნაწილები ივსება აჯანყებულ ტომებიდან.

ეს განყოფილებები შესდგებიან მხოლოდ და მხოლოდ ქვეითა ნაწილებიდან. თითეული ტომი ან მისი ნაწილი ვალდებულია მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გამოიყვანოს კონტინგენტი 50 კაცის შემადგენლობით.

გამოწვევა ხდება ყოველ 15 დღის ან და ბრძოლებში მნიშვნელოვან დანაკლისის შემდეგ.

პარტიზანების რაზმები დგება განსაკუთრებულ ტომებიდან ყოველთვის ბრძოლის წინ. ყველა ჯანსაღი მამაკაცები ვალდებული არიან გამოცხადდენ სამსახურში მკაცრი დასჯის შიშის ქვეშ. თითეულ ჯარის კაცს ეძლევა 150 ვაზნა.

აბდ-ელ-ქერიმის არმია, რეგულიარულ ნაწილების გამოკლებით, შეიარაღებულია სხვა და სხვა გვარი იარაღებით, უმთავრესად კი მაუზერის კარაბინებით 1886 წ. და 100 ვაზნით. ქვეითა ნაწილები სარგებლობენ ავტომატიური თოფებით და პრიმიტიული გრანატებით. არტილერია შესდგება უმთავრესად 70 მილმ. ისპანური ქვემეხებისაგან.

იარაღისა და ამუნიციის საწყობები მოთავსებულია ტარგისტის და ტაუერტას მიდამოებში.

**საფრანგეთის ფლოტის მომავალი მანევრები.**

საფრანგეთის ესკადრა, ადმირალ დიუმესნილის მეთაურობით, „პროვანსის“, „კურბეს“ და ორი ნაღმოსანის შემადგენლობით, ნეაპოლში მისვლის შემდეგ შეუერთდება შერბურგში მდგომ საფრანგეთი[...] ფლოტის მნიშვნელოვან ძ[...] ლებს: „პარიზს“, „ჟანბარის“ „ვოლტერი“ და „დიდრო“ სთან, ოთხ ესკადრის ნაღმოსნ[...] ბის ფლოტილიასთან, 12 წყალ[...] ქვეშა ნავთან და სხვა დამხმარ[...] გემებთან.

პრეზიდენტის მიერ ესკადრ[...] დათვალიერების შემდეგ მოხ[...] დება დიდი მანევრები ჰიდრო[...] თვითმფრინავების მონაწილ[...] ობით.

მანევრები მოხდება ინგლ[...] სის წყლების მახლობლად.

**პოლონეთის ჯარების მანევ[...] რები.**

11-13 აგვისტოში ბროდ[...] ვის რაიონში დანიშნულია ც[...] ენოსანი ჯარების მანევრე[...] ორი ცხენოსან დივიზიის მ[...] ნაწილეობით. მანევრებში 1[...] და 20 აგვისტოს ტორნის რ[...] იონში მიიღებენ მონაწილე[...] ბას ორი ქვეითა დივიზიები.

მანევრებზე დასასწრებლა[...] მიდიან: წარმომადგენელი ინგ[...] ლისის არმიის-გენერალი აპრ[...] ჟაიდი, მურმანის ინტერვენცი[...] დროს მომქმედ ჯარების უ[...] როსი, საფრანგეთის არმიის წ[...] რმომადგენელი გურანი, ლა[...] ვიის ჯარების უფროსი რად[...] ნი, ესტონეთის მთავარ შტ[...] ბის უფროსი ტერვადი, ჩეხო[...] სლოვაკიის მთავარ შტაბის უ[...] როსის მოადგილე სიროვ[...] (ჩეხო-სლოვაკიის მთავარი შტ[...] ბის უფროსი არის ფრანგი გე[...] ნერალი მიტტელჰეიმერი) [...] სხვები.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ფიზკულტურა ჩვენთან.

მე 5 ლეგიონი.

9 აგვისტოს მე-5 ლეგიონმა მოაწყო ქუთაისის ცირკში ფიზკულტურის გამოსვლები. თამაშობის დაწყებამდე ფიზკულტურის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ექიმ ამხ. წერეთელმა. მოხსენების შემდეგ დაიწყო გამოსვლები:

1. თავისუფალი ვარჯიში, 2. ხტომა სიგრძეზედ, 3. თამაში ორძელზედ, 4. თავისუფალი ვარჯიში თოფებით, 5. ტრიალი ღერძზედ, 6. ხტომა სიმაღლეზედ, 7. ხტომა ჭოკით სიმაღლეზედ, 8. ღერძზედ ტრიალი, 9. კავკასიური ჭიდაობა და სხ.

ხუთი მეტრის სიგრძეზე გადახტა წითელი არმიელი ბერძენიშვილი. ერთი მეტრი და 28 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადახტა მეთაური შუბლაძე. ხტომა ჭოკით სამი მეტრ. და 48 სანტ. სიმაღლეზე გადახტა საკავშირო გუნდის წითელ არმიელი ამხ. ჩახვაძე. ღერძზე ტრიალში გაიმარჯვა ამხ. დევაძემ. ვარჯიშის შემდეგ წითელ არმიელებს უჩვენეს კინოსურათი. ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე, რისთვისაც მადლობას უძღვნით კლუბის გამგეს, ლეგთავს და სამხკომს.

სამხკორი ახალციხელი.

## ლექცია ჭლექზე.

მე-6 ლეგიონი.

11 აგვისტოს, ჩვენს ლეგიონში, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ მომაგრებულ ექიმმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: ჭლექი და მისი გამომწვევი მიზეზები. ლექციას წითელ-არმიელები დიდის ყურადღებით უსმენდენ. ლექციის შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც ლექტორმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

სასურველია ასეთი ლექციები ყოველ თავისუფალ დროს იკითხებოდეს.

ამხ. ექიმი ძლიერ ენერგიულად ეკიდება თავის საქმეს. ის თავის შრომას არ ზოგავს ჩვენთვის, მოდის ყოველთვის თავის დროზე.

ექიმი არ კმაყოფილდება მარტო სანსაათით, არამედ ის აწარმოებს აგრეთვე სკოლის გარეშე სანმუშაობასაც, მაგალითად, აწყობს სანექსკურსიებს და სანსაღამოებს თავისუფალ დროს, რისთვისაც ლენკლუბის გამგეობა მადლობას უძღვნის მას დაუღალავ და ენერგიულ შრომისათვის.

სამხკორი მ. ვ.

## ხელმარდი აფერისტი.

(მეექვსე ტერ-ლეგიონი).

ჩვენს ლეგიონში მსახურობდა სამნეო ნაწილის კანცელარიაში გადამწერათ მოქ. ენუქი ხეთერელი, რომელმაც ამ თვენახევრის წინათ მოიტანა ლეგიონში საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების გამგეობის მიერ გამოშვებული ვერცხლის ლატარიის ბილეთები 120—150 ცალი და დაურიგა ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის წევრებს თითო ცალი თითო მანეთად, რომელიც ივნისის თვის ჯამაგირიდან უკვე მიიღო მან და უგზო-უკვლოდ დაიკარგა კიდევაც. მიკვირს ვინ ანდო მას 150 მანეთის ლატარიის ბილეთები! გარდა ამისა მოქ. ხეთერელს გაჰყვა შემდეგი გადაუხდელი ვალები:

მთლიანი სამხედრო კოოპერატივის 50 თუ 55 მანეთი, ადგილობრივი ლეგიონის კოოპერატივის 15 მან. და სხვა და სხვა კერძო პირების. ხეთერელის ლეგიონიდან გაპარვის შემდეგ გამოირკვა, რომ მას ვერცხლის ლატარიის ბილეთები ერთ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების რწმუნებულისათვის გამოურთმევია, რომელიც კვირაში სამჯერ დაიარება ლეგიონში და სთხოვს სამნეო ნაწილს ფულს.

ეს ფული კი ხეთერელს აღებული აქვს.

და მეორედ ხელახლად თუ არ გადაიხადეს ფული, იმ შემთხვევაში ლატარიის ბილეთები, რომლებიც შეძენილი აქვთ უფ-პოლიტშემადგენლობის წევრებს გამოცხადებულნი იქნებიან გაუქმებულად.

საჭიროა ხეთერელის წინაალმდეგ ზომების მიღება.

ა—ნი.

## 1901 წ. დაბადებულთა შეკრებისთვის სამზადისი.

მე-6 ლეგიონი.

მეთაურთა თათბირის შემდეგ მე-3 ათასეულმა გამოიმუშავა გეგმა 1901 წელს დაბადებულთა შეკრების ჩასატარებლად: მოწვეულ იქნეს ორ ადგილას მიტინგი, ერთი ცენტრში და მეორე სოფელ №-ში.

კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილ იქნა აგიტატორები, რომლებსაც მიცემული ექნება თეზისები ტერიტორიალურ სისტემის მნიშვნელობის შესახებ და სხვა.

ჭ-ძე.

## სამხკორთა ქსელის გაფართოების შესახებ.

სინამდვილე გვიჩვენებს, რომ სამხკორთა ქსელი ჩვენს ნაწილებში ვერაა ჯეროვნად მოწყობილი.

მართალია ყოველგვარ ზრდასთან ერთად იზრდება სამხკორთა მუშაობაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დარგში ჩვენი წითელ-არმიელთ ფართო მასა ჩაბმული იყო სამხკორთა მუშაობაში, არ ჰქონდეს ნაკლი და ის არ საჭიროებდეს გამოსწორებას.

თუ რომელიმე ნაწილში სამხკორთა მუშაობაში ჩაბმული არის წითელ-არმიელთა საკმარისი რიცხვი (ისიც იშვიათად), ჯერ ვერ არის მათზე ხელმძღვანელობის საქმე შესაფერის სიმაღლეზე და ამიტომაც ადგილი აქვს ნაკლს სამხკორთა მუშაობაში.

აქ საჭიროა ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ სწორ ხელმძღვანელობის კურსის შექმნა. უმთავრესი ნაკლი ჩვენ მუშაობაში შემდეგია: ა). სამხკორთა წრის მეცადინეობას აქვს შემთხვევითი ხასიათი და არ არის სისტემატიური ხელმძღვანელობა. ბ. არ არის ჩაბმული წითელ-არმიელთა ფართო მასა სამკორთა მუშაობაში (განსაკუთრებით გლეხური ახალგაზრდობიდან), გ. სამხკორის როლი ვერაა ყველგან კარგად შეგნებული და ხშირად იწერება ცნობა მხოლოდ წერისთვის.

სამხკორმა წინ და წინვე უნდა ასწონოს თემა და გაითვალისწინოს თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის წერილს. ამისათვის საჭიროა თვითონ კარგათ იცნობდეს იმ მასალას, რაზედაც წერას იწყებს.

სამხკორი ყველაზე უფრო კარგათ უნდა იცნობდეს ნაწილის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ადმინისტრატიულ მხარეებს და რაც უმთავრესია, უნდა შეეცადოს მიიღოს სხვებთან შედარებით, მაღალი სამხედრო ცოდნა.

ვინც ამას მოკლებულია, ის ვერ შესძლებს ნაწილში სინამდვილის თვალის გასწორებას, უყურადღებოდ დარჩება წერილში გასაშუქებელი საკითხები, გვერდს აუვლის მას და ამით ვერც შესძლებს ნაყოფი მოუტანოს მისი წერით სხვას.

საჭიროა სამხკორი იყოს შეგნებული, რადგანაც შეგნების გარეშე ვერ იგრძნობს თავის ნაკლს. შეგნებისათვის საჭიროა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სამხკორთა წრის მეცადინეობაში; თუ არ არსებობს, დაარსოს ის ნაწილში, დაიხმაროს და გამოიყენოს ყოველმხრივ ნაწილის გამოცდილი მომუშავენი ამ დარგში, და ამით გამოაკეთოს ის საქმე, რაიც ამტკიცებს და ამაგრებს ჩვენს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდების ძლიერ მებრძოლ კავშირს-წითელ-არმიას.

სამხკორი ტ. ხეველ ი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## მხურვალე სალამი ახალ უფროსთა დაპოლიტ-შემადგენლობას.*)

დღეს, 8 აგვისტოს ხდება გამოშვება ენერგიით აღსავსე ახალ უფ-პოლიტ შემადგენლობისა მთელს საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბში.

დღეს 8 აგვისტოდან შევესება წითელი ჯარები ცოცხალ ენერგიით სავსე მეთაურთა შემადგენლობით, რომლებიც თავიანთ ახალ სად ენერგიას მოახმარენ მუშურ-გლეხურ არმიების ღირსეულად მომზადებას და განმტკიცებას. დღეს, როდესაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ანვითარებენ თავიანთ სამხედრო ძალებს, ახალი სისხლის სადვრელად, ჩამორჩენილ ერების დასაპყრობად და ხელ-ახალ მათი დახანაწილებლად, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების დასამარცხებლათ, ამ დროს მშრომელთა სამეფოში, საბჭოთა რესპუბლიკებში გამოდიან მუშების და გლეხების ახალი მოწინავე კადრები, რომლებიც უტყუარი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა და გამარჯვების. საბჭოთა ხელისუფლებამ იცის ომის სისასტიკე, თუ რა ზიანი მოაქვს მას მშრომელი მასებისათვის და ამიტომაც ის წინააღმდეგია ომის, მაგრამ მას არ შეუძლიან გულზე ხელდაკრეფილი უყუროს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების გაშმაგებულ მზადებას, რომელსაც აწარმოებს მოღალატე მე 2-რე ინტერნაციონალის ბელადებთან ერთად, და რომელიც საფრთხეს უმზადებს მშრომელთა ხალხს. წითელი ჯარი არის ისტორიული ჯარი, სიამაყე მუშათა კლასის, წითელი ჯარი, რომელმაც გადალახა უზარმაზარი დაბრკოლებანი, რომელმაც გადაიტანა უსასტიკესი გაჭირვება სამოქალაქო ომებისა, დაამარცხა შინაური და გარეშე კონტრრევოლიუცია და მიაღწია გამარჯვებას. დღეს წითელი ჯარი ვითარდება, ამზადებს საუკეთესო ნაწილს მუშებისას და გლეხებისას საბოლოვო გამარჯვებისთვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი მეთაურთა შემადგენლობა ჩვენთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული შევასრულებთ იმ დავალებას, რომელიც დაგვაკისრა ოქტომბრის რევოლიუციამ და მუშათა კლასმა.

გაუმარჯოს ახალ უფპოლიტ-შემადგენლობას, რომლებიც ამოგვიდგებიან გვერდში და ხელიხელ ჩაკიდებული შევებრძოლებით შინაურს და გარეშე მტრებს.

ვაშა მათ!

სამხედრო პედაგოგიური განმეორებითი კურსების კომუჯრედის პრეზიდიუმი.

*) ეს წერილი რედაქციამ დაგვიანებით მიიღო.

## წაგვიყვანეთ ზაჰესში.

1-ლი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის წითელ არმიელები სუყველაფრით კმაყოფილი ვართ. არაფერზე საყვედური არ გვეთქმის. მხოლოდ გულს გვაკლია ერთი რამ, რომ ზემო ავჭალის ჰიდროელექტრონულ სადგურის უნახავად მივდივართ უვადო შვებულებაში.

წაგვიყვანეთ ზაჰესში.

სამხკორი უტიე.

## მოგვეცით საცვლები.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდის წითელ-არმიელებს თავის დროზე საცვლები არ გვაქვს.

ხშირად ამის გამო აბანოში ვერ მივდივართ. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ საცვლებს არ გვაძლევს, მეკუჭნავესაგან ვღებულობთ ასეთ პასუხს: ძველი საცვლები შტაბს მივეცი იატაკის გასარეცხად და სამაგიეროს აღარ იძლევიანო დასაშვებია განა ეს?

ძველი წითელი არმიელი არსენ ექიზაშვილი.

## მოგვიწყვეთ სამზარეულო.

მე-2 ლეგიონი.

მე-2 ლეგიონის მე-2 და მე-3 ათასეულების სამზარეულოში ძლიერ უწესრიგობას აქვს ადგილი.

ორი ათასეული ვირიცხებით ერთ სამზარეულოში, რომელიც ორივე ასეულების დაკმაყოფილებას თავის დროზე ვერ ასწრებს. ამის გამო თითქმის ერთ-ორ საათს გვიხდება ლოდინი, სანამ კერძს მივიღებდეთ.

სამზარეულო სივრცით დიდია და შეიძლება მასში ორ ადგილას გაკეთდეს კერძი, ქვაბებიც არის ამისთვის საკმარისი.

სასურველია თითო ათასეულს ქონდეს თავის საკუთარი სამზარეულო, რითაც ბოლო მოეღება იმ უწესრიგობას, რასაც ეხლა ადგილი აქვს ჩვენთან.

წითელ არმიელი ბზივანელი.

## როგორ ვიმგზავრეთ.

ქარ. გაერთიანებული სკოლა.

30 ივლისი. დილის 4 საათია. აუზში ბანაობა, შენ კი ერთი დილის რიგ-რაგი ედება მთელ სივრცეს; აგერ კარვებიდან გამოდიან ზოგიერთი კურსანტები და ბანაობენ აუზში.

— ბიჭო რაფო, მოდი, ჩვენც ვიბანაოთ, თორემ მე სკოლას ვათავებ და შეიძლება კი აწი არც მომიხდეს აქ წელი დაგრჩენია და ყველაფერს მოესწრები.

ასე ამ საუბრობით ჩავედით აუზში საბანაოდ. ამ დროს გაისმის ადგომის ნიშანი. ახმაურდა მთელი სკოლა, ზოგი დოშაკებს ცლიან, ზოგი თოფებს წმენდენ. კარვებს ხსნიან და ზოგი გამზადებულ ბარგებით ტვირთავენ ფურგუნებს. ასე კოლექტიური შრომით საღამოს ხუთ საათამდე გადავიტანეთ მთელი სკოლის ქონება სადგურზე,

შემდეგ მთელი სკოლა, მწყობრად, მუსიკით და სიმღერით მივედით სადგურზე, სადაც დაგვხვდა ჩამომდგარი მატარებელი.

აქაც საერთო ძალით ჩავაბარგეთ მთელი ქონება ვაგონებში და შემდეგ ჩავსხედით ჩვენც.

არის ვაგონებში სიმღერა, მუსიკა და სხვა. მოდიან სოფლელი გლეხები და გვეკითხებიან რატომ მიდიხართ აგრე ადრე? ჩვენც ვაძლევთ სათანადო პასუხს. იყო საუბრობა კურსანტებსა და გლეხებს შორის დღევანდელ ყოფა-ცხოვრების შესახებ. გაისმის ნიშანი წასვლის. მატარებელიც დაიძრა. არის მცხოვრებლების მიერ გამოსამშვიდებელი ძახილები და სხვა... ვაგონებში გაიმართა ცეკვა, სიმღერა, სხვა და სხვა გასართობები. ასე მხიარულად ჩამოვედით ჩვენს საზამთრო სადგომებში.

აქ მოხდა კურსანტების გადაჯგუფება.

უმცროსი კურსის კურსანტები დაინიშნენ უფროსი კურსის თანამდებობაზე. შემდეგ ასეულის მეთაური მოუწოდებს კურს-დამთავრებულებს, რომ მათ გაეღრმავებიოთ თავიანთი ცოდნა და არ დაკმაყოფილებულიყვნენ სკოლაში შეძენილ ცოდნით.

ახალ დანიშნულ კურსანტებს კი თხოვს, რათა მათ ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მეცადინეობას.

სამხკორი რაფქორი.

# პარტიული ცხოვრება.

**მე 6 ლეგიონის მე-3 ათასეულის უჯრედის კრება.**

8 აგვისტოს შესდგა მესამე ათასეულის პარტიული და ხორული კომუჯრედის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პარტიულ კონტრრევოლუციის გასამართლების შესახებ, 2. პარტიული დისციპლინის შესახებ, 3. განცხადების განხილვა პარტიაში მიღების შესახებ, 4. ათასეულის პარტკორის არჩევა და 5. მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მარიაშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას „პარტიულ კომიტეტის" კონტრრევოლუციონერთა მოქმედება. ბოლოს შეეხო მათ გასამართლების და ზოგადად განაჩენის გამოტანას.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რასაც გაეცა სათანადო პასუხი; პარტიული დისციპლინის შესახებ ილაპარაკა ამხ. ს. ბაბლიძემ, რომელმაც მოიყვანა მაგალითები სხვა და სხვა დროს დისციპლინის დარღვევის შესახებ როგორც პარტიის ისე ამხ. ქ. კ. წევრების მიერ. და უსურვა ამხანაგებს რომ მომავალში მტკიცედ დაეცვათ პარტდისციპლინა. მომხსენებელი ერთვეი მოკლედ შეეხო სამხედრო დისციპლინასაც.

შემდეგ განხილულ იქნა ამხ. გელაზონის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. თათბირის შემდეგ კრებამ სცნო მისი მიღება პარტიის კანდიდატად. დადგენილება ამის შესახებ გადაეგზავნება ბიურო-კოლექტივს. ათასეულის პარტკორად ერთხმად იქნა არჩეული დ. პანკვეტიძე.

დ. ფ.

# ამბები სოფლებიდან.

**სოფლის მეურნეობისთვის.** მომავალ სასწავლო წლიდან თელავში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

**ბრძოლა საქონლის ჭირთან.** ივლისის განმავლობაში ტფილისის, დუშეთის და თელავის მაზრებში საქონლის ჭირთან ბრძოლაზე დაიხარჯა 955 ლიტრი შრატი.

**აგრო დახმარება სოფელს.** ივლისში აგრო დახმარების საქმისა და სახ.-სამეურნეო მანქანების მოსამზადებლად ... რის მთავრობამ გადასდო 20 ათასი მანეთი.

**სოფლის ნაწარმოების დამზადება.** საექსპორტო სახ—ბა „ხლებოპროდუქტ" თელავის მაზრაში შეუდგა ქერის და ხორბლის დამზადებას.

**საქონლის ავადმყოფობა.** ბუკნარის თემში გაჩნდა საქონლის ავადმყოფობა, რომლის სახე ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

# ახალი ამბები.

— **დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულებს.** ოზურგეთის მაზრაში წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხების სასარგებლოდ ტფილისის აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი.

— **ქართულ მეთაურთა სკოლის** ტფილისის აღმასკომმა დამზადების სახით მისცა 2.480 მანეთი.

— **ავურის ქარხნის ფარდულების** ასაგებად ტფილისის აღმასკომმა გადასდო 10.935 მან.

— **ქირის შემცირება.** ტფილისის მაზრის აგარაკებზე ... შემცირებულია.

— **საავადმყოფოს გახსნა.** ტფილისის აღმასკომი ... მაზრაში ხსნის საავადმყოფოს.

— **ტრაქტორების დაკვეთა.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკაში შეუკვეთა 45 ცალი ტრაქტორი.

— **ემიგრანტებთან ბრძოლა.** ...

— **ქარხნის მოწყობა.** მიწ. მოქ. კომისარიატი „წარმოკავშირთან" ერთად აწყობს ხსნის ყველის და კარაქის სახელო ქარხანას.

— **კურსების მოწყობა.** მომავალ წელში ტფილისში მოეწყობა სას.-სამეურნეო ინსტრუქტორების მონტიორების (მოხელეების) კურსები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## კინო სურათის გადაღება ზღვის ძირზე.

ახლო მომავალში—სწერს ერთ-ერთი პარიზის გაზეთი—ჩვენ შეგვეძლება ვნახოთ კინემატოგრაფში ის დიდებული ნანგრევები და აყვავებული ბაღები, რომლებიც დამარხულნი იყო მრავალი საუკუნების წინად ხმელთაშუა ზღვის ძირზე.

ეს სასწაულები დიდებულ ცივილიზაციების წარმოდგება თვალი წინაშე ახალი, მეტად განმაცვიფრებელი წყალქვეშა კინემატოგრაფის გამოგონების საშუალებით, რომელიც მოძრაობს ორი ათასი ფუტი სიღრმეზე მეტს და რომელსაც შეუძლია ამ სიღრმეზე გადაიღოს ფოტოგრაფიული სურათები.



წყალქვეშა კინემატოგრაფის კამერა.

ეს პირველად გამოყენებულ იქნა ა. წ. გაზაფხულზე ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროების ექსპედიციის დროს.

ექსპედიცია მოწყობილია ამერიკელების მიერ.

მასში მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი ინგლისელი და ფრანგი მეცნიერები, რომელთაც ამ კინემატოგრაფებით სურთ გადაიღონ რომის ერთ-ერთ დაძირულ ქალაქის სურათი, რომელიც წინადაც შემჩნეული იყო ხმელთა შუა ზღვის ძირზე.

ისინი ფიქრობენ აგრეთვე აურაცხელი განძეულობის აღმოჩენას. ამ ზღვის წყლის გამჭვირვალობა მეტად უწყობს ხელს კინო-სურათის გადაღებას.

კინემატოგრაფიული კამერა გამოიგონა ექიმ ხარტმანმა.

ის ადვილი გამოსაყენებელია იმით, რომ მისი მართვა ხდება არა გარედან ე. ი. ზღვის ზე დაპირიდან არამედ შიგნიდან, რის გამოც გადამღებს შეუძლია გადაიღოს ყოველივე ის რაც მოესურვება.

აპარატი ჩამოკიდებულია გემზე ფოლადის თოკზე და შესდგება სამი ნაწილისაგან, რომლებიც მოთავსებულია ერთი მეორის შემდეგ. ოპერატორი (გადამღები) მოთავსებულია ფოლადის ცილინდრის შუა ნაწილში, საიდანაც ის თვალყურს ადევნებს მის გარშემო არსებულ წყალს.

ტელეფონის კავშირის საშუალებით თავის თანაშემწეს-თან, რომელიც იმყოფება წყალს ზევით, მას შეუძლია—თავისუფლად ამოზიდოს წყლიდან განძეულობა (რომელიც განსაკუთრებული აპარატით ადის ზევით წყლის ზედაპირზე), ისე როგორც კინო სურათების გადაღება.

დიდ სიღრმეებზე, სადაც ძალიან ცივა, ელექტრონის გამათბობელი ათბობს კამერას.

ელექტრონის ხელმძღვანელობა ხდება თვით კამერაში.

ფოტოგრაფი მოთავსებულია ამ ცილინდრის გვერდით, ხოლო თვით კამერა მიცოცავს ხან ზევით ხან ქვევით განსაკუთრებულ ლიანდაგზე. ძლიერი პროჟექტორი ანათებს ზღვის დაბნელებულ ადგილებს.

კინო-სურათს რომელიც იღება ამ კამერით, უკვე აჩვენებენ გემზე.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულნი 1901 და 1902 წ. წ. დაბადებულნი წითელ არმიელები როდის იქნებიან განთავისუფლებულნი?

**წ. არ. ჩიკვაიძე, მიქაბერიძე.**

**პასუხი.** ამის შესახებ იქნება ცალკე ბრძანება გამოცემული.

**კითხვა.** მე ვარ დაბადებული 1902 წ. ვმსახურებ ჯარში, მყავს სარჩენი დედ-მამა და ოთხი და. მანთავისუფლებს თუ არა სამსახურიდან ოჯახური მდგომარეობა და მეორე-ჩემი ძველი სამსახურიდან მეკუთვნის თუ არა რაიმე?

**წ. ა. საქარელი.**

**პასუხი.** ოჯახური მდგომარეობა სამსახურიდან არ განთავისუფლებთ. სამსახურიდან არაფერი გეკუთვნით, გარდა ორი კვირის ჯამაგირისა, თუ ასეთი არ მიგიღიათ შეგიძლიათ მისი მიღება. მატერიალურ დახმარებისთვის მიმართეთ აღმასკომს.

**კითხვა.** გთხოვთ მიპასუხოთ, რა საშუალებით შემიძლია გადავიდე რუსული ნაწილიდან ქართულ ნაწილში. ჩემს უფროსს ორჯერ მივეცი პატაკი ამის შესახებ, მაგრამ უარი მითხრა.

**წ. ა. მურვანიძე.**

**პასუხი.** მესამეჯერაც მიეცით პატაკი. თუ ეხლაც არ იქნება დაკმაყოფილებული თქვენი თხოვნა, მაშინ მიმართედ კომუჯრედს, რათა მან აღძრას თქვენი გადაყვანის საკითხი სადაც ჯერ არს.

**კითხვა.** გამოწვეული ვარ 1924 წ. შეიძლება თუ არა ვისარგებლო მოკლე ვადიანი შვებულებით, რომ ავადმყოფი ცოლი დავაწვინო საავადმყოფოში. ავადმყოფის მომვლელი არავინ მყავს. მაქვს ამის დასამტკიცებელი საბუთებიც?

**წ. ა. ბლუაშვილი.**

**პასუხი.** მიმართედ უშუალოდ თქვენს უფროსს.

**წ. ა. გაბრიჭიძეს.** ოჯახური მდგომარეობა სამსახურიდან არ განთავისუფლებთ.

**კითხვა.** 1922 წლიდან 1925 წ. მე ვმსახურებდი ქუთაისის მაზრის სხვა და სხვა რაიონის და თემის მდივნათ და ამ ხნის განმავლობაში მე არ მისარგებლია შვებულებით. ამა წლის აპრილში მომეცა მორიგი შვებულება, მაგრამ შვებულებით მე არ მისარგებლია, რადგან მაისში გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, როგორც 1902 წელში დაბადებული. შემიძლია თუ არა მივიღო კომპენსაცია, ან მენახება თუ არა შვებულება?

**პასუხი.** ვინაიდან შვებულებით უსარგებლობა თქვენის მიზეზით არ მომხდარა, ამიტომ სამსახურის გათავების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ კუთვნილი შვებულებით.

**წ. ა. ოზაშვილს.** წითელ არმიელი და მისი ოჯახი სარგებლობენ უფასო საექიმო დახმარებით. ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოდ ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებას.

**კითხვა.** მე, როგორც დაბადებული 1905 წელში, შეცდომით გამიწვიეს 1924 წ. მაისში, სამსახურის გათავების შემდეგ გამოწვეული ვიქნები თუ არა მაშინაც, როცა 1905 წ. დაბადებულებს გამოიწვევენ?

**წ. ა. არჩილ ქისტაური.**

**პასუხი.** თუ ამას დაამტკიცებთ აღმასკომის საშუალებით, რომ თქვენ დაბადებული ხართ 1905 წ., ეხლავე იქნებით განთავისუფლებული, თუ ეხლა არ გსურთ განთავისუფლება იმ შემთხვევაში 1905 წლებიანებთან არ იქნებით ხელახლად გაწვეული.

# გაზეთი „წ. ა." მოთავსებულ შენიშვნის გამო.

გაზეთ „წითელ არმიელის №159 მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით: „მოგვეცით სასადილო", რომელიც არის გაუგებრობის ნაყოფი, რადგანაც ამ დროს, როდესაც აღნიშნული შენიშვნა დაწერილა აღნიშნულ სასადილოს შეკეთება ხდებოდა და დროებით სასადილოს მაგიდები გამოტანილი იყო შენობიდან გარედ. ოთხი დღის განმავლობაში სასადილო შეკეთებული იქნა და მოწყობილი.

დრ. ლეგთავი **გოშხოთელიანი.**

დრ. სამხკომი **ხხვიტარიანი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!**

გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „წითელ არმიელის" საშუალებით ძიმითის თემის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა და კომპარტიის დავალებით მადლობა გამოუცხადოთ ქალ. №-ში მყოფ მე-2 ლეგიონის მე-4 კომუჯრედს, რომელმაც ძიმითის ა. ლ. კ. კ. და კომპარტიას გამოუწერა გაზეთი „წითელ-არმიელი" და „ახალი სოფელი".

ძიმითის თემის ახ. ლ. კ. კ. და კომპარტიის დავალებით დავით კეკელია.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე აღალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითელაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ჭყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კიკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო, თელავის მაზრა, 11. აფრიაშვილი სერგო, თელავის მაზრა, 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ჯავახოვი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. დ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.